ადმინისტრაციული დეპარტამენტი

2011 წლის ანგარიში და

2012 წლის სამოქმედო გეგმა

სასაზღვრო კონტროლის ზონა –პორტალი „სარფი“

- 2010-2011 წლებში განხორციელდა სასაზღვრო კონტროლის ზონა - პორტალი „სარფი“-ს რეკონსტრუქცია-მშენებლობა. აღნიშნული შენობა როგორც არქიტექტურული, ასევე ტექნოლოგიური თვალსაზრისით გამორჩეული შენობა - ნაგებობაა, რის გამოც პორტალმა „adme“-მ კრეატიული არქიტექტურის ნიმუშების ჩამონათვალში შეიყვანა და მას არქიტექტურული შედევრი უწოდა.
- სასაზღვრო კონტროლის ზონა - პორტალ „სარფში“ გეითების რაოდენობა შეადგენს 17-ს, წუთში შესაძლებელია 10 მსუბუქი ავტომანქანისა და 9 ტრაილერის, ასევე წუთში შესაძლებელია 20-22 ადამიანის მიღება.
- ფეხით მოსიარულეთათვის მოწყობილია გალერეა, რაც ხელს უწყობს მათ შეუფერხებელ გადაადგილებას.
- შენობა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, ვიდეოკონტროლის სისტემით, სხვადასხვა დანიშნულების სკანერებით.
- რეკონსტრუქციის ფარგლებში, ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, გაფართოვდა საავტომობილო გზა სარფთან.
- შენობის სარემონტო სამუშაოები დასრულდა 2011 წლის 16 აგვისტოს.

PASSPORT CONTROL



გაფორმების ეკონომიკური ზონა – „თბილისი“

- გაფორმების ეკონომიკური ზონა - „თბილისი“ არის 8 ჰექტარზე გაშენებული გაფორმების ცენტრი, აღჭურვილი თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და ელექტრონული საშუალებებით, სპეციალურად დაგეგმარებული ავტოსადგომით.
- გაფორმების ეკონომიკურ ზონაში დასაქმებულია 110 თანამშრომელი, გაფორმების ზონის გამტარუნარიანობა შეადგენს 120 სატვირთო ავტომანქანას.
- ავტოსადგომზე ერთდროულად შესაძლებელია, განთავსდეს 340 სატვირთო ავტომანქანა.
- გეზ-ში შესაძლებელია ერთდროულად შეუზღუდავი რაოდენობის იმპორტიორის მომსახურება, კვირაში შვიდი დღისა და 24 საათის განმავლობაში.
- გაფორმების ეკონომიკური ზონის მშენებლობა დასრულდა 2011 წლის 21 იანვარს.

15
16

გაფორმების ეკონომიკური ზონა – „ბათუმი“

- გაფორმების ეკონომიკური ზონა - „ბათუმი“ არის 6 ჰექტარზე გაშენებული გაფორმების ცენტრი, აღჭურვილი თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და ელექტრონული საშუალებებით, სპეციალურად დაგეგმარებული ავტოსადგომით .
- გაფორმების ეკონომიკურ ზონაში დასაქმებულია 60 თანამშრომელი, გაფორმების ზონის გამტარუნარიანობა შეადგენს 80 სატვირთო ავტომანქანას.
- ავტოსადგომზე ერთდროულად შესაძლებელია, განთავსდეს 192 სატვირთო ავტომანქანა.
- გეზ-ში შესაძლებელია ერთდროულად შეუზღუდავი რაოდენობის იმპორტიორის მომსახურება, კვირაში შვიდი დღისა და 24 საათის განმავლობაში.
- გაფორმების ეკონომიკური ზონის მშენებლობა დასრულდა 2011 წლის 11 იანვარს.

საგამოძიებო სამსახურის კახეთის სამმართველო

- თელავში ერეკლე მეორეს გამზ. №18 მდებარე შენობის მე-3 სართულს, სადაც განთავსებულია საგამოძიებო სამსახურის კახეთის სამმართველო, ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, აღნიშნული შენობა გათვლილია 45 თანამშრომელზე და აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით, რაც ხელს უწყობს სისტემაში დასაქმებულ თანამშრომელთა პროდუქტიულობის ზრდას.
- შენობის სარემონტო სამუშაოები დასრულდა 2011 წლის 5 სექტემბერს.





ფოთის სარკინიგზო სკანერის შენობა

- ფოთის სარკინიგზო სკანერის შენობის ფართობი 180 კვადრატულ მეტრს შეადგენს, რომლის წინაც 240 მეტრიან ზონაში განლაგებულია სპეციალური კამერები, აღნიშნულ ზონაში სატვირთო მატარებლის მოხვედრისას ავტომატურად იტვირთება ლაზერული სკანერი, ადგილზე მომუშავე პერსონალი კი სკანირებულ ინფორმაციას ელექტრონული ფორმით აწვდის ოპერატორს, სადაც ფერების მიხედვით ხდება იმ ინფორმაციის გაშიფვრა, თუ რა ტვირთის გადატანა ხდება სარკინიგზო ხაზით.
- შენობის სარემონტო სამუშაოები დასრულდა 2011 წლის 9 მარტს.

საგამოძიებო სამსახურის მცხეთის სამმართველო

- ქ. მცხეთაში, ღვინჯილიას №5 აშენდა ახალი, თანამედროვე დიზაინის შენობა, რომელიც გათვლილია 25 თანამშრომელზე და აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით, რაც ხელს უწყობს სისტემაში დასაქმებულ თანამშრომელთა პროდუქტიულობის ზრდას.
- შენობის სარემონტო სამუშაოები დასრულდა 18 იანვარს.

2012 წლის პრიორიტეტები

- სასაზღვრო კონტროლის ზონა - პორტალი „სადახლო“;
- სასაზღვრო კონტროლის ზონა - პორტალი „წითელი ხიდი“;
- სასაზღვრო კონტროლის ზონა - პორტალი „ნინოწმინდა“;
- სასაზღვრო კონტროლის ზონა - პორტალი „ლარსი“;
- საგამოძიებო სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის შენობა;
- საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს შენობა;